GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Psychology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

პროგრამის მიზნები:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში, საფუძვლიანად შეასწავლოს ფსიქოლოგიის დარგებში არსებული ძირითადი თეორიები და მოდელები, კონსტრუქტები, თეორიული და ემპირიული კვლევები;
- ფართო ცოდნა გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგებში (ორგანიზაციული, განათლება, იურიდიული, გენდერი და პოლიტიკა), შეასწავლოს ამ დარგებში არსებული მოდელები, კონსტრუქტები და ემპირიული კვლევები;
- შესძინოს ცოდნა, ფსიქოლოგიის შემადგენელი დისციპლინების განვითარების კანონზომიერებებისა და ტენდენციებს შესახებ;

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- თეორიებისა და ემპირიული კვლევების ანალიზისათვის საჭირო უნარები;
- კვლევის მეთოდებისა და ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- გამოუმუშაოს დარგობრივი კომპეტენციების გამოყენებით ცალკეული შემთხვევების ანალიზისა და შეფასებისთვის საჭირო უნარები;
- ფსიქოლოგიის დარგში კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთავის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- პროფესიული საქმიანობის დარგობრივი ეთიკური სტანდარტების დაცვით განხორციელების უნარი;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით ფსიქოლოგიის კვალიფიკაციისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი (მათემატიკა, ისტორია, ბიოლოგია).

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:
ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები:

ფსოქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

- **ცოდნა და გაცნობიერება**

შედეგი 1. - განმარტავს ფსიქოლოგიის დარგების კონსტრუქტებს, აღწერს თეორიებსა და მოდელებს, თეორიულ და ემპირიულ კვლევებს;

შედეგი 2. - გამოკვეთს გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგების (ორგანიზაციული, განათლება, იურიდიული, გენდერი და პოლიტიკა) ძირითად მახასიათებლებს, განიხილავს შესაბამის მოდელებსა და ემპირიულ კვლევებს;
შედეგი 3.- აღწერს ფსიქოლოგიის შემადგენელი დისციპლინების განვითარების ეტაპებსა და თანამედროვე ტენდენციებს.

- **უნარი**

შედეგი 4.- აანალიზებს ფსიქოლოგიურ თეორიებს/მოდელებს და გამოაქვს დასკვნები მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ;
შედეგი 5. - ფსიქოლოგიაში შეძენილი თეორიული და ემპირიული ცოდნის საფუძველზე აანალიზებს ცალკეულ შემთხვევებს და პოულობს შესაბამის გზებს მათ გადასაჭრელად;
შედეგი 6. - წინასწარ განსაზღვრილი ინსტრუქციის შესაბამისად და ხელმძღვანელობით ფსიქოლოგიის დარგში გეგმავს და ახორციელებს მცირე კვლევით ნაშრომს, მოიძიებს და მიმოიხილავს შესაბამის ლიტერატურას, აყალიბებს საკვლევ პრობლემას, მოიპოვებს მონაცემებს და შესაბამისი რაოდენობრივი ან/და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით აანალიზებს ემპირიულ მონაცემებს; გამოაქვს სათანადო დასკვნები. შესატყვისი ფორმით და არგუმენტირებულად წარმოადგენს საკუთარ ნაშრომს;
შედეგი 7. - თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ფსიქოლოგიის დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით ეფექტურად აწარმოებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას პროფესიული და არაპროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან;

- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

შედეგი 8. - პროფესიულ საქმიანობას წარმართავს ეთიკური სტანდარტების დაცვით და თემატურ დებატებში განსხვავებული აზრის პატივისცემით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს;
შედეგი 9. - აღიარებს და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, კვლევის დაგეგმივსას იცავს ეთიკის სტანდარტებს, პატივს სცემს კვლევის მონაწილეთა ნების თავისუფლებასა და უვნებლობას;

შედეგები/მიზნები	მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4	მიზანი 5	მიზანი 6	მიზანი 7	მიზანი 8	მიზანი 9
შედეგი 1	✓		✓	✓	✓		✓	✓	
შედეგი 2		✓		✓		✓	✓	✓	
შედეგი 3	✓		✓					✓	
შედეგი 4			✓		✓		✓		
შედეგი 5	✓					✓			
შედეგი 6	✓		✓	✓	✓		✓		
შედეგი 7							✓	✓	✓
შედეგი 8		✓							✓
შედეგი 9		✓			✓	✓	✓		✓

სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☒ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს

<u>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</u>

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

<u>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</u>

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო

კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:
საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფესიულ საქმიანობას ფსიქოლოგიის (ზოგადი, სოციალური, იურიდიული, ორგანიზაციული და პოლიტიკური) სფეროში და/ან ნებისმიერ იმ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში, რომლის ეფექტური ფუნქციონირება ფსიქოლოგიის ცოდნას მოითხოვს. პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა, ისევე როგორც პრაქტიკული უნარები, კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ წარმატებული კარიერა ფსიქოლოგიის სფეროში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფსიქოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:
ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა.უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

თინათინ ჩხეიძე
პროფესორი

ქ. თბილისი რუსთავის გზატკეცილი N22ა
მობ: (995 599) 23 04 25
e-Mail: t.chkheidze@gipa.ge

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
			სავალდებულო ზოგადი საგნები	**19**	**27**								
1.	SSsamok109	არ გააჩნია	დემოკრატია და მოქალაქეობა	4/100								32	68
2.	SSfsik111	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	6/150								32	118
3.	Sspkal07	არ გააჩნია	კალკულუსი	4/100								32	68
4.	SSkompun014	არ გააჩნია	კომპიუტერული უნარები	5/125								32	93
5.	SSakw103	არ გააჩნია	აკადემიური წერა		4/100							32	68
6.	SSsocs114	არ გააჩნია	შესავალი სოციოლოგიაში		6/150							32	118
7.	SSfils113	არ გააჩნია	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში		6/150							32	118
8.	SSakw103	SSfsik111	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2		6/150							32	118
9.	SSkoun700	არ გააჩნია	კომუნიკაციის ფსიქოლოგია		5/125							32	93
			ინგლისური ენის კომპონენტი	**5**	**5**	**5**	**5**						
1.	SSeng100	არ გააჩნია	ინგლისური ენა 1	5/125								48	77
2.	SSeng101	SSeng100	ინგლისური ენა 2		5/125							48	77
3.	SSeng102	SSeng101	ინგლისური ენა 3			5/125						48	77
4.	SSeng103	SSeng102	ინგლისური ენა 4				5/125					48	77
			სპეციალობის სავალდებულო საგნები			**23**	**22**	**20**	**25**	**27**	**21**		
1.	SSsocpsy510	SSakw103	სოციალური ფსიქოლოგია 1			6/150						32	118
2.	SSpsdzm533	SSakw103	ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები			6/150						32	118
3.	SScogpsy507	SSakw103	კოგნიტური ფსიქოლოგია 1			6/150						32	118
4.	SSrmpsy509	არ გააჩნია	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1			5/125						32	93

[1] კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[4] დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
5.	SSsocpsy511	SSsocpsy510	სოციალური ფსიქოლოგია 2				6/150					32	118
6.	SSrmpsy510	SSrmpsy509	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2				5/125					32	93
7.	SScogpsy507A	SScogpsy507	კოგნიტური ფსიქოლოგია 2				6/150					32	118
8.	SSdevpsy528	SSakw103	განვითარების ფსიქოლოგია				5/125					32	93
9.	SSstat202	არ გააჩნია	სტატისტიკა 1					4/100				32	68
10.	SSgend519	SSakw103	გენდერის ფსიქოლოგია					5/125				32	93
11.	SSbet532	SScogpsy507	ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში					6/150				32	118
12.	SSbp513	SSakw103	პიროვნების ფსიქოლოგია 1					5/125				32	93
13.	SSstat203	SSstat202	სტატისტიკა 2						4/100			32	68
14.	SSocpsy512	SSbp513	პიროვნების ფსიქოლოგია 2						5/125			32	93
15.	SSset515	SScogpsy507	განწყობის ფსიქოლოგია 1						5/125			42	83
16.	SSorgps525	SSsocpsy511	ორგანიზაციული და მართვის ფსიქოლოგია						6/150			32	118
17.	SSidiag517	SSbp513; SSakw103	ფსიქოდიაგნოსტიკა						5/125			32	93
18.	SShrm214	SSorgps525	ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები							5/125		32	93
19.	SSset516	SSset515	განწყობის ფსიქოლოგია 2							5/125		32	93
20.	SSpatopsiq621	SSakw103	პათოფსიქოლოგია							5/125		32	93
21.	SSexpps534	SSstat202 SSstat203 SSrmpsy509 SSrmpsy510	პრაქტიკული კურსი ემპირიულ ფსიქოლოგიაში							6/150		32	118
22.	SSedpsy520	SSdevpsy528	განათლების ფსიქოლოგია								5/125	32	93
23.	SSpolps527	socpsy510; SSocpsy512	პოლიტიკური ფსიქოლოგია								6/150	32	118
24.	SSjups526	SSset515	დევიაციური ქცევა და იურიდიული ფსიქოლოგია							6/150		32	118
25.	SSprps531	SSakw103; SSpsdzm533; SSsocpsy510; SSpsdzm533; SScogpsy507; SSrmpsy509; SSsocpsy511;	დასკვნით სასწავლო პროექტი								10/250	64	186

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
		SSrmpsy510; SScogpsy507 A; SSdevpsy528; SSstat202; SSgend519; SSbet532; SSbp513; SSstat203; SSocpsy512; SSset515; SSorgps525; SSidiag517; SShrm214; SSset516; SSpatopsiq621; SSexpps534											
			სპეციალობის არჩევითი საგნები			**6**	**6**	**6**			**6**		
1.	SSadvpsy	არ გააჩნია	რეკლამის ფსიქოლოგია			6/150						32	118
2.	SSmekhs 528	არ გააჩნია	მეხსიერება და დასწავლა			6/150						32	118
3.	SSpsling529	Sscogpsy507	ფსიქოლინგვისტიკა				6/150					32	118
4.	Ssqualprac605	არ გააჩნია	თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი				6/150					32	118
5.	SSneiro531	SSfsik111	შესავალი ნეიროფსიქოლოგიაში					6/150				32	118
6.	Pozpsy265	SSfsik111	პოზიტიური ფსიქოლოგია					6/150				32	118
7	SSashlpr530	SSfsik111	ფსიქო-სოციალური აშლილობების პრევენცია						6/150			32	118
8	SSclpsy522	SSfsik111	კლინიკური ფსიქოლოგია						6/150			32	118
9	SSexistps615	SSfsik111	ეგზისტენციალური ფსიქოლოგია						6/150			32	118
10	SSpsant514	SSfsik111	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია								6/150	32	118
11	SSnps527	SScogpsy507; SSneiro531	ნეიროფსიქოლოგია								6/150	32	118

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
			პროგრამის ზოგადი არჩევითი საგნები	**18**									
1	SShp501	არ გააჩნია	ისტორიული პიროვნებები	6/150								32	118
2	SSap500	არ გააჩნია	ავტორები და პერსონაჟები	6/150								32	118
3.	SSbrend723	არ გააჩნია	ბრენდინგი			6/150						32	118
4.	SSkultsoc716	არ გააჩნია	ლიტერატურა და პოლიტიკა			6/150						32	118
5.	SSrito701	არ გააჩნია	რიტორიკა და კამათის ხელოვნება			6/150						32	118
6.	SScinemp 724	არ გააჩნია	კინო და პოლიტიკა				6/150					32	118
7.	SSforumt115	არ გააჩნია	პრობლემების გადაწყვეტა: ფორუმ-თეატრი				6/150					32	118
8.	SSnacteo 719	არ გააჩნია	ნაციონალიზმის თეორიები				6/150					32	118
9.	SStom456	არ გააჩნია	პოსტსაბჭოთა ტრანზიციული ეკონომიკის ანთროპოლოგია					6/150				32	118
10	SSsocpsy510	არ გააჩნია	პროპაგანდის ფსიქოლოგია					6/150				32	118
11.	SSpolmit 714	არ გააჩნია	პოლიტიკა და მითოლოგია					6/150				32	118
12.	SSDzal201	არ გააჩნია	ძალადობა						6/150			32	118
13.	SSkomrekl718	არ გააჩნია	სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია						6/150			32	118
14.	SSaciv704	არ გააჩნია	აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია						6/150			32	118
15.	SSmeng203	არ გააჩნია	მენეჯმენტი							6/150		32	118
16.	Sssus411	არ გააჩნია	საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები							6/150		32	118
17.	SSfemin722	არ გააჩნია	შესავალი ფემინისტურ თეორიასა და კვლევებში							6/150		32	118
18	SSfondfin 543	არ გააჩნია	ფონდების მოძიება								6/150	32	118
19.	SSanaint578	არ გააჩნია	ანალიზი და ინტერპრეტაცია								6/150	32	118
20.	SStom456	არ გააჩნია	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება								6/150	32	118
			სემესტრში	**30**	**32**	**34**	**33**	**26**	**31**	**27**	**27**		
			წელიწადში	**62**		**67**		**57**		**54**			

სწავლის შედეგების რუკა #2

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო საგნებთან მიმართებით. პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი იერარქია: I (Introduction), რაც გულისხმობს შედეგზე გასვლას გაცნობით დონეზე, D (Development) - შედეგზე გასვლას გაღრმავების დონეზე და M (Mastering) - შედეგზე გასვლას განმტკიცების დონეზე. ცხრილში მოცემულია აგრეთვე პროცენტული მაჩვენებლები (ნიშნულები) ცალკეული კურსებისათვის პროგრამის გამოცდილების შესაბამისად.

სავალდებულო საგანი / მოდული	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 9
დემოკრატია და მოქალაქეობა							I		
შესავალი სოციოლოგიაში							I		
შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში							I		
ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	I	I		I	I	I			
ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	I	I	I	I	I	I	I		
კომუნიკაციის ფსიქოლოგია	I	I	I	I	I		I	I	
პრეკალკულუსი						I			
აკადემიური წერა						I	I		I
კომპიუტერული უნარები							I		
ინგლისური ენა 1							I		
ინგლისური ენა 2							I		
ინგლისური ენა 3							I		
ინგლისური ენა 4							D		
ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები	I	I	I	I			I		
კოგნიტური ფსიქოლოგია 1	I	I	I	I			I		
კოგნიტური ფსიქოლოგია 2	I	I	I	I			I		
გენდერის ფსიქოლოგია	I	I	I		I	I	D	D	
სოციალური ფსიქოლოგია 1	D	I	I	I	I	I	I	D	

ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში	D	D		D			D		
სოციალური ფსიქოლოგია 2	M	M	D	D	D	D	D	D	D
პიროვნების ფსიქოლოგია 1	D	D	I	I			I		
პიროვნების ფსიქოლოგია 2	M	D	D	D					
განწყობის ფსიქოლოგია 1	D	D		D		D		D	
განწყობის ფსიქოლოგია 2	D	D							
განვითარების ფსიქოლოგია	D	D			D	D	D		D
ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია	I	D	I	I					
ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები	I	I	D	D			D		
დევიაციური ქცევა და იურიდიული ფსიქოლოგია	D	D	D						
ფსიქოდიაგნოსტიკა	I		I			D	D		
გამოყენებითი ფსიქოლოგიის საფუძვლები	D	D	D				D		
პრაქტიკული კურსი ემპირიულ ფსიქოლოგიაში	D	D		D	D	D			D
განათლების ფსიქოლოგია	D	D		D					
პათოფსიქოლოგია	D			I			D	D	
სტატისტიკა 1						I	D		
სტატისტიკა 2						D			D
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	I	I		I	I	I	I		
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	D	D		D	D	D	D	M	D
დასკვნითი სასწავლო პროექტი	M	M	M	M	M	M	M	M	M

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	თინა ჩხეიძე			
თანამდებობა	ასოცირებული პროფესორი			
სამუშაო ადგილი	GIPA			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	599230425	ელ-ფოსტა:	t.chkheidze@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	ნაშრომის თემა: ცნობიერების მონაწილეობა წინააღმდეგობის მოხსნაში სოციალურ განწყობებს შორის SSnps527			
პუბლიკაციები	• ცნობიერების მონაწილეობა კონსისტენტობის აღდგენაში ატიტუდებს შორის. სტატია ჟურნალისათვის 'მაცნე'. (ბეჭდვაში) • Nadareishvili V. Chkheidze T. Legal culture and legal consciousness in terms of set and attitude. European Scientific Journal. 2015 • Nadareishvili V. Chkheidze T. Normative and Deviant Behavior in Terms of D. Uznadze Set Theory Based Strain Model. European Scientific Journal.. Vol 2. 2013 • მაიკლ გელდერი, პოლ ჰარისონი, ფილიპ კოუენი. ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში. (თარგმანი ინგლისურიდან. ფსიქიატრიულ ტერმინოლოგიაზე მუშაობა: ქართული ფსიქიატრიული ტერმინოლოგიის და ცნებითი აპარატის დადგენა). 2012 • სამართალი და ფსიქოლოგია. (თანაავტორი ვახტანგ ნადარეიშვილი) მაცნე #1. 2008 • სიტუაციური ლიდერობა. მაცნე #1. 2007 • მტრის ხატი. მაცნე #1. 2006			

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ზიზი კესიდი	მოწვეული ლექტორი	• ავტორები და პერსონაჟები • ანალიზი და ინტერპრეტაცია
2.	ნინო ჩარექიშვილი	პროფესორი	• ისტორიული პიროვნებები • აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია
3.	ქეთევან არევაძე	ასისტენტ-პროფესორი	• კომპიუტერული უნარები
4.	მიხეილ ნიკოლეიშვილი	პროფესორი	• კალკულუსი
5.	თინათინ ნორაკიძე	ასისტენტი	• დემოკრატია და მოქალაქეობა
6.	მარიამ ალანია	ასოცირებული პროფესორი	• ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 • ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 • განვითარების ფსიქოლოგია
7.	სალომე დუმბაძე	ასისტენტი	• აკადემიური წერა • სტატისტიკა 1 • სტატისტიკა 2
8.	თეონა მატარაძე	მოწვეული ლექტორი	• შესავალი სოციოლოგიაში
9.	ქეთი მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	• შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში
10.	ელენე ერისთავი	მოწვეული ლექტორი	• კომუნიკაციის ფსიქოლოგია • სოციალური ფსიქოლოგია 1
11.	მარიამ დავითაშილი	მოწვეული ლექტორი	• კომუნიკაციის ფსიქოლოგია; • ძალადობა
12.	თინათინ ჩხეიძე	პროფესორი	• სოციალური ფსიქოლოგია 1 • სოციალური ფსიქოლოგია 2 • პროპაგანდის ფსიქოლოგია

13.	ალექსანდრე ავალიანი	ასისტენტი	• ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები
14.	თინათინ ბანძელაძე	ასისტენტ - პროფესორი	• კოგნიტური ფსიქოლოგია 1 • კოგნიტური ფსიქოლოგია 2 • ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში • გამოყენებითი ფსიქოლოგიის საფუძვლები
15.	ნანა ბერეკაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	• გენდერის ფსიქოლოგია
16.	მარიამ სეხნიაშილი	ასისტენტ-პროფესორი	• კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1 • კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2 • საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები • თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი
17.	თეიმურაზ ბჟალავა	ასოცირებული პროფესორი	• პიროვნების ფსიქოლოგია 1 • პათოფსიქოლოგია • ფსიქო-სოციალური აშლილობის პრევენცია
18.	ვახტანგ ნადარეიშვილი	მოწვეული ლექტორი	• განწყობის ფსიქოლოგია 1 • განწყობის ფსიქოლოგია 2 • დევიაციური ქცევა და იურიდიული ფსიქოლოგია
19.	ელიზავეტა სოლოღაშილი	მოწვეული ლექტორი	• ორგანიზაციული და მართვის ფსიქოლოგია
20.	ნანა ცხვედაძე	მოწვეული ლექტორი	• ფსიქოდიაგნოსტიკა • პრაქტიკული კურსი ემპირიულ ფსიქოლოგიაში
21.	თეა გველესიანი	ასოცირებული პროფესორი	• ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები • რეკლამის ფსიქოლოგია
22.	ანა ჩუთლაშვილი	ასისტენტი	• განათლების ფსიქოლოგია • ფსიქო-სოციალური აშლილობების პრევენცია
23.	მანანა გაბაშვილი	პროფესორი	• ფსიქოლინგვისტიკა • შესავალი ნეიროფსიქოლოგიაში • ნეიროფსიქოლოგია
24.	თამარ ცხვიტავა	ასოცირებული პროფესორი	• ინგლისური ენა 1,2

25.	თეონა გელენიძე	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა 2,3
26.	ჯეფრი მორსკი	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა 3,4
27.	მზეანა გომელაური	პროფესორი	• ეგზისტენციალური ფსიქოლოგია
28.	ვლადიმერ გამსახურდია	მოწვეული ლექტორი	• ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია; • პიროვნების ფსიქოლოგია 2
29.	სალომე რაზმაძე	მოწვეული ლექტორი	• მეხსიერება და დასწავლა
30.	გიორგი იმერლიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	• ბრენდინგი
31.	თეა ქამუშაძე	ასისტენტ-პროფესორი	• ტოლერანტობა და მრავალფეროვნება • პოსტსაბჭოთა ტრანზიციული ეკონომიკის ანთროპოლოგია
32.	ლევან ბერძენიშვილი	მოწვეული ლექტორი	• რიტორიკა და კამათის ხელოვნება
33.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი	• კინო და პოლიტიკა
34.	მარინა კვიცარიძე	მოწვეული ლექტორი	• პრობლემების გადაწყვეტა: ფორუმ-თეატრი
35.	თინათინ ქავთარაძე	მოწვეული ლექტორი	• ნაციონალიზმის თეორიები
36.	ირინე ახობაძე	მოწვეული ლექტორი	• პოზიტიური ფსიქოლოგია
37.	დავით ზურაბიშვილი	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკა და მითოლოგია
38.	ირინე ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	• სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია
39.	თედო სანიკიძე	ასისტენტი	• მენეჯმენტი
40.	მაია ბარქაია	ასოცირებული პროფესორი	• შესავალი ფემინისტურ თეორიასა და კვლევებში
41.	ბუბა ცირეკიძე	მოწვეული ლექტორი	• ფონდების მოძიება
42.	ნათია ბადრიშვილი	მოწვეული ლექტორი	• კლინიკური ფსიქოლოგია

43.	დათო ზურაბიშვილი	მოწვეული ლექტორი	• ლიტერატურა და პოლიტიკა
44.	თორნიკე ჩიხლაძე	მოწვეული ლექტორი	• განწყობის ფსიქოლოგია